რას ამბობენ ჩვენზე საზაფხულო სკოლის მონაწილეები:

“ძალიან კმაყოფილები ვართ! ჩემი შვილი საზაფხულო სკოლაში ინგლისურში ემზადებოდა. თეგას თქმით, გაცილებით მეტის, სწავლების საშუალება მიეცა, ამერიკული აკადემიის საზაფხულო სკოლაში.”

2008 წლის სესიის მოსწავლის მშობელი

“საზაფხულო სკოლამ არა მარტო გამიღრმავა ცოდნა, არამედ მეტი ხალისი შესძინა საზაფხულო არდადეგებს.”

2009 წლის სესიის მოსწავლე

“ამ სკოლაში სწავლა მიმდინარეობს თანამედროვე მეთოდებით და რაც მთავარია, მასწავლებლები და მთლიანად კოლექტივი შესანიშნავია.”

2009 წლის სესიის მოსწავლის მშობელი

“მე უფრო თავდაჯერებულად შემიძლია ვილაპარაკო ინგლისურად და ვესაუბრო უცხოელებს. იმედია, შემდეგ წელს დავბრუნდები საზაფხულო სკოლაში.”

2010 წლის სესიის მოსწავლე

“საზაფხულო სკოლა იყო საუკეთესო გამოცდილება ჩემი შვილებისთვის. წელს ჩვენ ისევ დავბრუნდით და ძალაინ მიხარია, რომ ზაფხულს ისევ დაუთმობენ ინგლისურის სწავლას.”

2008 წლის სესიის მოსწავლის მშობელი

ფოტოები 2011 წლის საზაფხულო სკოლიდან

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ გვეწვიოთ ამერიკულ აკადემიაში

საქართველო, თბილისი 0162,
ილია ჭავჭავაძის გამზირი 37ა,
ტელ./ფაქსი: (995 32) 227889; (995 32) 227441
ელ-ფოსტა: summer-school@aat.ge

ეწვიეთ ჩვენს ვებ გვერდს: www.GZAAT.ge

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის

საზაფხულო სკოლა 2012

ამერიკული აკადემიის დირექტორი
გარი კრიპინი

●

საზაფხულო სკოლის დირექტორი
ქელი სპენგლერი

2-27, ივლისი 2012

ვიწვევთ მოსწავლეებს 10-14 წლამდე ჩვენთან ერთად პროდუქტიული და სახალისო საზაფხულო არდადეგების გასატარებლად

საზაფხულო სკოლის პროგრამა

სკოლის სასწავლო პროგრამა მოიცავს ინგლისურისა და მათემატიკის კურსებს. ინგლისური ენის გაკვეთილებს, რომლებიც თანამედროვე ESL (ინგლისური, როგორც მეორე ენა) ტექნიკებსა და ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს ემყარება. ინგლისური ენის გაკვეთილებს მაღალკვალიფიციური ამერიკელი და ბრიტანელი მასწავლებლები ჩაატარებენ.
კლასებში ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა 15-ს შეადგენს, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ აქტივობებში და პრაქტიკაში გამოიყენონ შეძენილი ცოდნა.
საზაფხულო სკოლის პროგრამა მოსწავლეებს შეუქმნის ისეთივე ინგლისურ-ენოვან გარემოს, როგორშიც ამერიკული აკადემიის და სხვა საერთაშორისო სკოლების სტუდენტები სწავლობენ. შესაბამისად, ჩვენი ინგლისური ენის პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან საგნებს და პროექტებს, როგორიცაა დრამა, სცენარის ადაპტირებაში, მუსიკა თეატრალური დადგმებისთვის, და ისტორია და გეოგრაფია კემბრიჯის უნივერსიტეტის პროგრამის და სახელმძღვანელოების მიხედვით.

კლასგარეშე პროგრამა:

მოიცავს მოკლევადიან კურსებს მსოფლიო მოვლენებსა და ჟურნალისტიკაში (ინგლისურ ენაზე), ასევე ხელოვნების, ცეკვისა და სპორტის საათებს და საუბრებს ჯანმრთელობისა და ეკოლოგიის საკითხებზე. ამ გაკვეთილებზე დასწრება ნებაყოფლობითია.

მათემატიკის პროგრამა:

მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ინგლისური ენის ცოდნის ნებისმიერი დონიდან (elementary — advanced) მათემატიკის გაკვეთილებიც ინგლისურ ენაზე ისწავლონ. პროგრამა მრავალფეროვან და სახალისო თემებზეა აგებული, მათ შორის მათემატიკა მუსიკაში და ალბათობის თეორია, ლოგიკა და სიმეტრია ბუნებაში.

ჩვენი საქველმოქმედო მისია:

ამერიკული აკადემიის საზაფხულო სკოლის საქველმოქმედო მისიის მიზანია ყველა ბავშვს, მიუხედავად სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა, მიეცეს მაღალი დონის განათლების მიღების შესაძლებლობა. წელსაც, საზაფხულო სკოლაში სრული სტიპენდიით ისწავლიან მოსწავლეები თბილისის რამდენიმე მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სახლიდან.

მიღების წესები:

მოსწავლეებს ჩაუტარდებათ 90-წუთიანი წერითი გამოცდა ინგლისურსა და მათემატიკაში. ამ გამოცდის მიზანია ბავშვების ცოდნის მიხედვით დაჯგუფება და ოპტიმალური სწავლების დონის შერჩევა.

საზაფხულო სკოლაში სწავლის მსურველებმა უნდა შეავსონ შესაბამისი განაცხადის ფორმა. ფორმის მისაღებად მობრძანდით ამერიკულ აკადემიაში ან იხილეთ ფორმის ელექტრონული ვერსია ჩვენს ვებ გვერდზე. ყველა ფორმა აუცილებლად უნდა ჩააბაროთ ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამერიკულ აკადემიაში ან გამოგვიგზავნოთ ელ-ფოსტის საშუალებით.

საზაფხულო სკოლაში მიღება არ ხდება კონკურსის საფუძველზე. ჩაირიცხება ის პირველი 60 მსურველი, ვინც განაცხადის შევსებულ ფორმას მოგვაწვდის და სწავლის საფასურს სრულად დაფარავს. გთხოვთ სწავლის საფასურთან დაკავშირებული კითხვებით დაგვიკავშირდეთ ტელეფონის საშუალებით.

მნიშვნელოვანი თარიღები:

განაცხადების მიღების უკანასკნელი ვადა:
22 ივნისი

ინგლისური ენის და მათემატიკის გამოცდები:
18-19 ივნისი

სწავლის პირველი დღე: **2 ივლისი**

დახურვის ცერემონია: **27 ივლისი**

ჩვენი მასწავლებლები:

სკოლის პედაგოგთა ჯგუფი საგულდაგულოდ არის შერჩეული. ჩვენს ყველა მასწავლებელს კვალიფიკაცია მიღებული აქვს ამერიკის და ბრიტანეთის უნივერსიტეტებში. მათ აქვთ ქართველ სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება და იციან ინგლისურის, როგორ მეორე ენის (EშL) სწავლების სპეციფიკა და მნიშვნელობა.
ჩვენს მასწავლებლებს სამუშაო გამოცდილება სამუშაო გამოცდილება მიღებული აქვთ სხვა და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტში, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების სამშვიდობო კორპუსში, კავკასიის უნივერსიტეტში, ამერიკის უნივერსიტეტში ერაყში, აიდაჰოს შტატის უნივერსიტეტში, ლონდონის სამეფო კოლეჯში, კორეის ქრისტიანულ უნივერსიტეტში, და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში.
ინგლისური ენის პროგრამის ყველა მას-წავლებლის მიზანია, რომ სტუდენტებს ინ-ტენსიურად შეასწავლონ ინგლისური ენა, რაც მათ მისცემს საშუალებას ისაუბრონ თავისუფლად და თავდაჯერებულად.